საქართ. მემარცხენე სოც.-დემოკრატიული სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ცხრიმუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღია ყოველ დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 241

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის საქალაქო კომიტეტი

ამით აცხადებს პარტიულ ამხანაგების საყურადღებოდ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც არ არიან რეგისტრაციაში გატარებული, ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ რეგისტრაციაში გასატარებლად ივანე ბარამიძესთან ან სამსონ ებრაელიძესთან 3 საათიდან 4 საათამდე. ბაქოს ქ. № 70.

ბათომის კომიტეტი.

კვირას ივლისის 9, სიონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის

კათოლიკოზ—პატრიარქის

ლეონიდის

სულის მოსახსენებლად. წირვის დასაწყისი 11 საათზე—პანაშვიდი პირველ საათზე.

განცხადება

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილება ამით აცხადებს,

რომ უკანასკნელი ვადა 1922 წ. საბინაო დავთრების შეძენისა არის 15 ივლის. 15 ივლისამდის ვინც არ შეიძენს საბინაო დავთარს, ის იქნება დაჯარიმებული თანახმად აღმასკომის № 4 სავალდებულო დადგენილებისა, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს ა/წ. 22 აპრილს № 88-ში.

სამმართველოს განყოფილება.

ჩვენი ეროვნული პოლიტიკა

2

ეროვნული საკითხის გადაჭრა თეორიულად არ არის ძნელი. სოციალისტურმა აზროვნებამ ამ კითხვას, შეიძლება ითქვაც, გარკვეული ფორმულა მოუძებნა და თეორიაში იგი გადაწყვეტილად უნდა ჩითვალოს. დღეს დღეობით ვერც ერთი სოციალისტური პარტია და თუ გნებავთ ჯაჯუფიც ვერ ბედავს გამოვიდეს და დაიცვას ერის გადაშენების საჭიროება და აუცილებლობა. ისტორიულმა სინამდვილემ მრავალი ურწმუნო თომებიც კი დაარწმუნა იმაში, რომ ერის სიკვდილი შეუძლებელი არის ბიოლოგიური ან ეკონომიური კანონების ძალით. ერს სპობს და ანადგურებს მხოლოდ უხეში პოლიტიკური ორგანიზაცია და წინასწარი შემუშავებული გეგმებით ბრძოლა ერის არსებობის მოსპობისათვის. ეგრეთვე სალმა ჰეშმარიტებამ დაუმტკიცა ურწმუნოებს, რომ ერის არსებობა და მისი კულტურის წარმატება არ ეწინააღმდეგება სოციალიზმს. ამგვარად უკუღმართი დაპირისპირება სოციალიზმისა და ეროვნებისა, როგორც დიამეტრალურად საწინააღმდეგო კატეგორიების, უნდა მოხსნილად ჩითვალოს. სოციალიზმი და ერი ერთი მეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ავსებენ ურთიერთს. ეს მეცნიერულად დამტკიცებული სინამდვილე არის, რომლის უარყოფა არ შეუძლია არავის.

ამრიგად, თუ თეორიაში ეროვნული საკითხის გადაჭრა სოციალისტური აზროვნებისათვის არ არის ძნელი ამოცანა, სამაგიეროდ ეს სიძნელე იწყება მაშინ, როდესაც საქმე პრაქტიკულს სინამდვილეს შეეხება და რეალურად უნდა შეესახა ხორცი თეორიულს დებულებებს.

ჩვენს ქართულ პრესაში ეროვნული საკითხის გარშემო მრავალ წლის განმავლობაში სწარმოებდა კამათი პარტიათა შორის. ერთი მთავარი მოწინააღმდეგე ქართულ ეროვნულ საქმეს ჩვენში ყოფდა მენშევიკების სახით ახლო წარსულში. ეს პარტია გაცხარებით უარყოფდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას და მხოლოდ უბრალო კულტურული ეროვნული ატრიბუტებით კმაყოფილდებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და მისი პოლიტიკურად ჩამოყალიბება მენშევიკებმა მოხალეს რევოლუციისა და თავად-აზნაურობის საქმეთ. მათი არგუმენტაცია ამ საკითხში ყველას კარგად ახსოვდა, ამიტომ ჩვენ აქ ალარ გავიმეორებთ. მენშევიკები მაშინ რუსული ცენტრალიზმის მომხრეებად გამოდიოდნენ და ამგვარს ფორმებში ხედავდენ ქართული საქმის ხსნას. ფედერალიზმის პრინციპი განდევნილი იყო მათი აზროვნებიდან და რუსული ცენტრალიზმის ვიწრო ჩარჩოებში ამწყვდევდენ ჩვენი ერის მომავალს, მისი ალორძინებისა და წარმატების ხსნას ასეთ ფორმებში ხედავდენ. ამ პოლიტიკიდან განდევნილი იყო ეროვნული მომენტი. ეროვნული პოლიტიკა და მენშევიზმი დიდი რუსეთის ინტერესების სალზომით სჭრიდენ ყოველივე კითხვას. ამ შემთხვევაში ისინი „ველიკოროსიის“ პატრიოტები იყვენ, რუსეთის პატრიოტებისაგან მხოლოდ დემოკრატიზმის პრინციპით განსხვავდებოდენ. „თავისუფალ საქართველოს“ (№ 20) გადმოცემით, ბერლინის სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზე მენშევიკების წარმომადგენლის შესახებ განაცხადა: „წერეთელს არ აქვს უფლება საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვოს, ვინაიდან ის თითონ ველიკოროსიის პატრიოტი იყო კერენსკის კაბინეტში ფრონტზე სიკვდილით დასჯა დაუწესეთ“. რასაკვირველია, წერეთელს ეროვნულ წარმომადგენლის უფლებას საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვოს, ვინაიდან ის თითონ ველიკოროსიის პატრიოტი იყო. მაგრამ ვერც ჩვენ წაგვართმევენ იმის უფლებას. მისი შემცდარი პოლიტიკის ნიმუშები ერთხელ კიდევ გამოვაჩენინოთ ყველას დასანახავად და მიუთითოთ ქართველ ხალხს იმაზე, რომ წერეთელი დღეს იმ ტოტზე სხედან, რომელსაც ენერგიულად სჭრიდენ რუსული ნაჯახით სულ ახლო წარსულში.

როგორც ალვნიშნეთ, ჩვენი ერის ცხოვრება და მისი განვითარების პირობები დიდად რუსეთის ფარგლებში მოექმყოფდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან. რუსეთის შემოსვლამ საქართველოში მრავალმხრივი ცვლილებები გამოიწვია ჩვენი ერის ცხოვრებაში. ამ აქტამდე საქართველო დაქსაქსული იყო მრავალ სამეფოებად და სამთავროებად, რომელთა შორის ხდებოდა უმიზნო სისხლის ღვრა და ომები, რაც აჩიოებდა ჩვენს ეროვნულს სხეულსა და ადუნებდა მისს ენერგიას. შინაურმა ომებმა და პროვინციალურმა პარტიკულარიზმმა ხელი შეუწყო, როგორც კულტურული წარმატების შეფერხებას, ისე ჩვენი ერის საგარეო პოლიტიკაში დამარცხებას. გარეშე ძალამ (ოსმალეთმა, სპარსეთმა) შინაური წინააღმდეგობით დასუსტებული საქართველო ადვილად შეავიწროვა და, ერთ დროს ამიერ-კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში დიდი ძალის მქონე სახელმწიფოს, ამოშლას უპირებდენ საერთაშორისო რუკიდან, მიუხედავად მრავალი ცდისა, საქართველომ ვერ შეძლო დაქსაქსულ ნაწილების გაერთიანება საკუთარის ძალით. ამას ხელს უშლიდა, როგორც ოსმალეთ საქართველოს პოლიტიკა, ისე პროვინციელი მთავრობის ეგოიზმი. და დიდი რუსეთის შემოსვლამ საქართველოში მაგარის ხელის მოქნევით მოსპო ცალკე სამთავროები და საქართველოს გაერთიანებას ჩაუყარა ნიადაგი. მაგრამ ამ აქტთან ერთად მოისპო ქართველი ერის პოლიტიკური არსებობაც და მისი დამოუკიდებლობა. ობიექტურად რუსეთის მიერ გამოწვეული პოლიტიკური დეოდალიზმის აღმოფხვრა საქართველოში და მისი გაერთიანება ძალიერ დიდი დირებულების აქტი იყო ჩვენი წარმატებისათვის. ის, რაც ვერ შეძლო ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში საკუთარის ძალღონით, რუსულმა ცარიზმმა ერთის ხელის მოქნევით განახორციელა და ამით თითქოს დიდ ეროვნულ საქმესაც ჩაუყარა ნიადაგი. მაგრამ ამ შემთხვევაში რუსული იმპერიალიზმი არ გამოდიოდა ჩვენი ერის ინტერესებიდან, მას არ იცავდა პატარა ერის მოთხოვნილებანი. რუსული იმპერიალიზმი „ველიკოროსიის“ აგრესიული მიზნებით იკვებებოდა და მას საჭიროდ ედვა დამონება და გაყვლეფა უცხო ერებისა. ამიტომ ამ იმპერიალიზმმა ჩვენში პოლიტიკური დეოდალიზმის აღმოფხვრასთან ერთად მოსპო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობაც და შეუდგა ჩვენი ერის დენაციონალიზაციის საქმეს. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ეს იყო ჩვენი ერის ისტორიაში გადატეხისა და უდიდესი ტანჯვის პერიოდი. ამ ხნიდან დაიწყო ჩვენი წვს-წყობილებისა და ჩვეულებათა რუსული მუშტით გარდაქმნა და ახალ ცხოვრების ახალ ფორმების გამოკიკება. ასეთი პერიოდები ყოველთვის უდიდეს ტკივილებს იწვევს ერის ცხოვრებაში და ჩვენმა ხალხმაც მწვავედ გრძნობდა ეს თავისი ცხოვრების ყოველ დარგში. პოლიტიკურად განადგურებული ეროვნული სხეული დასნეულდა. დაძაბუნდა გონებრივად და ზნეობრივადაც. რუსულმა იმპერიალიზმმა დიდ ეროვნულ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი საქართველოში და ამ პოლიტიკის წინააღმდეგ ამხედრდა თვით მშრომელი ხალხი, რომელმაც კახეთის და მთიულეთის ცნობილი აჯანყებები მოაწყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ.

ჩვენში იყვნენ პუბლიცისტები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის შემოსვლას საქართველოში ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდაო. ამ დებულებას თავგამოდებით იცავდა ნ. ჟორდანია არჩილ ჯორჯაძისთან კამათში. თავის დროზე არჩილ ჯორჯაძემ ისტორიული ფაქტებით დაუმტკიცა მენშევიკების ბელადს ამ დებულების სიყალბე. საქართველოში მიმზდარი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობანი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ნათლად ამტკიცებდა იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა რუსული ცარიზმის ბატონობას და იმ პოლიტიკას, რომელსაც ეს მთავრობა აწარმოებდა ქართველი ერის მიმართ და ამ ხალხმა აშკარა ომი გამოუცხადა რუსეთის მთავრობას. ეს ფაქტები ადასტურებდა ქართველი ხალხის ეროვნულ შეგნების პოტენციასა და დონეს, რომელიც ისე საჭირო იყო მენშევიკებისათვის, რომელნიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ქართველი ხალხის უღრესი ინტერნაციონალიზმი, უკეთ კოსმოპოლიტიზმი. დღეს მდგომარეობა შეიცვალა და მენშევიზმისათვის საჭირო ჰაერის დაამტკიცოს ქართველ ხალხში უღრესი ეროვნული შეგნების არსებობა, ამისათვის ისინი ისტორიულ მაგალითებსაც მიმართავენ და წინათ, მათ მიერ უარყოფილ ფაქტებს დიდი სიამოვნებით იყენებენ. მათი ორგანოს „თავისუფალი საქართველოს“ (№ 20) ფურცლებზე პოლიტიკურ პარტიათა დეკლარაციის ქვეშ მენშევიკებიც აწერენ ხელს, სადაც თეთრზე შავი ასოებით სწერია: „ქართველი ერი ამ ანექსიის წინააღმდეგ ამხედრდა და მთელი საუკუნის განმავლობაში მრავალი აჯანყება და რევოლიუციონური აქტით უპასუხებდა რუსეთის იმპერიალისტურს პოლიტიკას საქართველოს მიმართ“.

ეს მოსაზრება სრული ტეშმარიტება არის ტ ისტორიულმა სინამდვილემ მენშევიკები ყურ ახვეულნი მიიყვანა ფაქტების წინაშე და აიძულა სრული სიმართლე დეთქვა.

ჩვენმა მიპირდაპირე პარტიამ, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში ებრძოდა ჩვენ ეროვნულს პოლიტიკას, ისტორიული მომენტების ყ ლბათ შეფასებიდან ყალბი დასკვნები გამოიტანა და თავის პროგრამიდან სავსებით ამოშალა საქართველოს განსაკუთრებული ეროვნული ინტერესები, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქართველი ხალხის განვითარება ინტერნაციონალური გზით მოდის, ის თავისუფალი არის ყოველგვარ ნაციონალიზმისაგან და ასეთს პირობებში საჭირო არ არის ნაციონალური მოთხოვნილებების წამოყენება და მისთვის ბრძოლა. ისტორიამ აქაც თავისი გაიტანა და ყველასათვის ნათელი გახადა, რომ ქართველ ხალხს აქვს თავისი ეროვნული მოთხოვნილებანი და უღრესი სურვილი თავისი ცხოვრება თავისებურად მოაწყოს. აქაც მენშევიკების პროგნოზი არ გამართლდა და დღეს დიდ ეროვნულ შეგნებასთან გვაქვს საქმე საქართველოში.

ქართველი ხალხის ამ ეროვნული შეგნებით უნდა ისარგებლოს დღეს მენშევიკებს და მისკენ ალიზიარეს ხალხის სიმპატიები. წარსულში ეს პარტია ეროვნული პოლიტიკის უარყოფით გამოდიოდა, დღეს ეროვნული პოლიტიკის უღრესი დამცველია, მაგრამ როგორც წარსულში, ისე დღესაც ეს პარტია უკიდურესობაში ვარდება და სწორი ეროვნული პოლიტიკის ხაზი არ აქვს. სულ ახლო წარსულში რუსული ცენტრალიზმისა და სოციალიზმის სახელით უარყოფდა ეროვნულ პოლიტიკას. დღეს ეროვნული პოლიტიკის სახელით უარყოფს რუსეთსაც და სოციალიზმსაც.

საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, როგორც წარსულში, ისე დღესაც ახასიათებდა და ახასიათებს ეროვნული და სოციალური მომენტების გაუფერულად წამოყენება და გადაჭრა. წარსულში, ზავი რეაქციის ბატონობის ხანაში ჩვენი პარტია სოციალურ და სხვა პოლიტიკურ კითხვებთან ერთად პირველ ოიგში სვამდა ეროვნულ საკითხს და თავგამოდებით იბრძოდა ქართველი ერის შელახულ უფლების აღსადგენად. დღესაც ჩვენ ამავე ლოზუნგებით გამოვდიგართ და საერთაშორისო ძალთა გაწყობილების ხანაში ვცდილობთ დავიცვათ როგორც რევოლიუციის ინტერესები, ისე ქართველ ერის უფლებები და მისი კულტურული აღორძინებისათვის შესაფერისი პირობები. ჩვენი პოლიტიკა თავიდანვე სწორი და ნათელი არის და ის არავად არ გადატეხილა და არავოდეს არ დაჭირვებია მისი კაპიტალური რემონტი.

ერის უფლებისათვის ბრძოლა ჩვენი პოლიტიკის ალფა და ომეგა არის.

ხ. დევიანი.

ესერების პროცესი

მოსკოვი, 7 ივლისი. 6 ივლისის დილის სხდომაზე ჩვენებას იძლევა ჩრდილდებული გერშუნეტეინი, რომელიც გაგზავნილი იყო კიევში 1917 წლის დასასრულში. კრასნოვეცკის ეპიზოდს, რომელსაც ჩრდილდებული გერშუნეტეინი სთხოვდა ფულებს პარტიის საჭიროებისათვის, ჩრდილდებული ხსნის იმით, რომ მას ესაჭიროებოდა ფულები სამშობლოში პატარა რაზმის გასაგზავნად. მან მიმართა კრასნოვეცკის თხოვნით ესესხებინა ესერების პარტიის ორგანიზაციისათვის ციმბირის მთავრობის რაოდენობიდან 25 000 მანეთი.

ბერშუნეტეინი არ უარყოფს იმას, რომ უკრაინის რადაში ესერები ხმას აძლევდენ კრედიტის ზავს. ეს კენჭის ყრა შემდეგ გაუქმა პარტიის ცენკამ, ვინაიდან იგი არ ეთანხმებოდა პარტიის საერთო გეზს. გერშუნეტეინი აცხადებს, რომ ესერების პარტიის ცენკამ გადაწყვიტა ხელი შეუწყოს განაპირა კუთხეებში სოციალურ მთავრობების დაარსებას, რათა რუსეთი გარს შემოეტყაოთ ისეთ მთავრობათა რკალით, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილნი ბოლშევიკებისადმი. ამ რკალს თანდათანობით უნდა ჩაეხრჩო საბჭოთა ხელის-უფლება. ტიმოფეევს, რომელიც ჩავიდა კიევში ნოემბრის გასულს: დაბვდა იქ ვინიჩენკოს დირექტორია, რომელიც ყოველ მხრივ მერყეობდა და ეძებდა (გამართულია)... ესერებმა მისცეს დირექტორიას ამოერჩია ორში ერთი: ან ბოლშევიზმი და ან დემოკრატია, რაც მოითხოვდა ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ შეიარაღებული ბრძოლის დაწყებას. დირექტორია მერყეობდა. ამ დროს უკრაინაში თანდათან იზრდებოდა სტიქიური ბოლშევიკური მოძრაობა. ესერებს არ ქონდათ თავის განკარგულებაში ისეთი საშუალებანი, რომლითაც მათ შეძლება ექნებოდათ შეეჩერებინათ ეს მოძრაობა. ტიმოფეევი არ უარყოფს იასაში ესერ ჩუნაკოვის წასვლის ფაქტს, რომელსაც უნდა გაემართა ჩოლჩპარაკება მოკავშირეებთან ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ შეთანხმებული მოქმედების შესახებ. მაგრამ ჩუნაკოვი მიდიოდა იქ არა როგორც პარტიის წარმომადგენელი, არამედ როგორც „აღორძინების კავშირის“ წარმომადგენელი.

სულ სხვა გვარად ასურათებს კიევში ესერების პარტიის მუშაობას ჩრდილდებული გრიგოლ რატნერი. რიმელსაც კიევში დახვდა უბრალო და უმოქმედო კომიტეტი და ავანტიურისტულად განწყობილი სამხედრო კომისია, ეს უკანასკნელი აწყობდა შეიარაღებულ რაზმებს უფლების მიხედვით არშეისათვის, რომელიც პარტიას აჩვენდა ოქვენი ჰქონდა გამბედული, საოლქო კომიტეტთან ხანგრძლივი და ხშირი მოლაპარაკების შემდეგ, დადგენილი იქნა გაეუქმებინათ სამხედრო კომისია, რადგანაც მას ავანტიურისტული ხასიათი ქონდა, ხოლო შემდეგ გადაწყდა გამოეცვალათ ამ კომისის პირადი შემადგენლობა. სამხედრო კომისიას დიდ ძალი თანხები მოეპოვებოდა, რომელსაც იგი იღებდა ციმბირის მთავრობისაგან და „აღორძინების კავშირიდან“, რომელიც თავის მხრივ ფულებს იღებდა მოკავშირეთა მისიებისაგან. მოხალისეთა არმიისათვის რაზმების შედგენის გამო, კომისია აწარმოებდა ხელის შეშლელ მუშაობას.

კიევიდან რატნერი წავიდა ყუბანში. ყუბანში იმ დროს მუშაობას ხელმძღვანელობდა დამფუძნებელ კრების სამხრეთ-აღმოსავლეთის კომიტეტი. ეკატერინოდარში გამოდიოდა გაზეთი „როდნაია ზემლია“, რომელიც ფორმალურად უპარტიო იყო, ხოლო არსებითად კი—პარტიული, ესერული, რომელიც ხელმძღვანელობდა და სავსებით უპერდა მხარს მოხალისეთა არმიას. მას რეალურ დახმარებასაც უწევდნენ. ყუბანში უშუალობდა საერთო და საოლქო კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ესერები შარგოდერი და ჩუდნევი, რომელიც უგზავნიდა მოხალისეთა არმიას სურსათსანოვაგეს. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები არ იზიარებდნენ კომიტეტის შეხედულებას და არ იწონებდენ მათ მუშაობას მოხალისეთა არმიის დახმარების საქმეში, რომლის სათავეში იდგნენ შავრიაზელი მონარქისტები. ესერები არ უწევდენ ანგარიშს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციას და აცხადებდნენ, რომ ისინი მოკმედებენ ამას მთელს რუსეთის ხალხის სასარგებლოდ.

გრიგოლ რატნერის ჩვენების შემდეგ, ახსნა-განმარტებას იძლევიან პირველ ჯაჯუფიდან ლინსკოი და ევგენია რატნერი.

ევგენია რატნერს ადგილობრივი ორგანიზაციები დახვდა ძალიან მერყევ მდგომარეობაში. ეკატერინოდარის პარტიული ორგანიზაცია წარმომადგენდა ყველაზე უფრო მემარცხენე მიმდინარეობას. საოლქო ბიუროს ეკავა საშუალო პოზიცია, მაგრამ იყო მემარჯვენე მიმდინარეობაც. პირველი შეცდომა იმ ესერებისა, რომელნიც შედიოდნენ დამფუძნებელ კრების წევრთა საერთო-აღმოსავლეთ კომიტეტში, იყო ის, რომ ამ მომენტში მათ თავის დანიშნულებათ

მიაჩნდათ არა სოციალიზმისა და მშრომელთა კლასიური ინტერესების დაცვა, არამედ საერთო-დემოკრატიული პოზიციის დაცვა. მით უფრო ინტერესებდათ სრულიად რუსეთის ხელისუფლების მოწყობა. როდესაც ეს ხელისუფლება ჩამოყალიბდა დირექტორიის სახით, უფის თვითბირზე ამ ხელისუფლებას ყველანი მიესალმენ. დამფუძნებელი კრების კომიტეტის წევრები ფიქრობდნენ, რომ ისინი შესძლებენ დაუმორჩილონ მოხალისეთა არმია დირექტორიას. და სწორეთ ამით აიხსნება მათი კარგი დამოკიდებულება მოხალისეთა არმიასთან, რომელსაც მხარს უჭერდა კომიტეტი.

მეორე შეცდომა კომიტეტისა იყო ის პოზიცია, რომელიც მან დაიჭირა გერმანიის ფრონტის დამარცხების შემდეგ. კომიტეტის წევრებს უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენათ მიაჩნდათ რუსეთის მონაწილეობა გამარჯვებულ სახელმწიფოთა კონგრესზე და ვერსალის ხელშეკრულების დადებაში (გამოტოვებულია)... ეს განწყობილება აძლევდა საშუალებას პარტიის წევრებს ქონოდათ თავისი საკუთარი აზრები, გამოსულიყვნენ თავის პასუხისმგებლობით და სახელით. მათი გამოსვლების შესახებ პარტია პასუხს ვერ აგებს.

6 ივნისის სადამოს სხდომაზე ჩვენებას იძლევა მოწმე ბურევოი, ესერების პარტიის ცეკას ყოფილი წევრი (ეხლა უპარტიოა). 1918 წლის მეორე ნახევარში ის იყო კიევში და იქ იგი ხვდებოდა ცეკას წევრებს რიხტერსა და გერშტეინს. მიუხედავად იმისა, რომ მოწმე იმყოფებოდა კიევში მაშინ, როდესაც ქალაქს საშინელი საარტილერიო ცეცხლი გაუჩინეს, იგი მაინც ხშირად ხვდებოდა რიხტერსა და გერშტეინს და სავსებით გაეცნო უკრაინაში პარტიის მუშაობის ყველა დეტალებს.

მოსკოვი. 8 ივლ. 7 ივლისის დილის სხდომაზე ირკვეოდა ესერების პარტიის მე 9 ყრილობის დადგენილებათა მთავარი ხასიათი. ამ არსებით მხარეს აშკარავებს სემიონოვი, რომელიც ამბობს შემდეგს: „რეზოლიუცია შეიარაღებული ბრძოლის დროებითი შეწყვეტის შესახებ მიღებული იქმნა კომპრომისების შემდეგ (გამოტოვებულია) მე 8 ყრილობის დადგენილების მიხედვით, რომელიც პრინციპიალურად უარყოფდა შეიარაღებულ ბრძოლას. მე 9 ყრილობის ამ რეზოლიუციამ აიძულა პარტიიდან გასულიყვნენ პარტიის მრავალი წევრები, რომელნიც წინასწარ გრძნობდენ ასეთი რეზოლიუციების მიღებას.

სემიონოვი გამოდიოდა რა ცეკას მოწოდებიდან რეაქციის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის შესახებ, წინადადებას აძლევდა ცეკას მოეწყო კოლჩაკზე თავდასხმა, რისი თანხმობაც მან მიიღო. სემიონოვი ამასთან ფიქრობდა მოეწყო მთელი რიგი ტერორისტული აქტებისა და სხვათა შორის დენიკინზეც თავდასხმა.

ტიმოფეევი კატეგორიულ პროტესტს აცხადებს დენიკინზე თავდასხმის მოწყობის წინააღმდეგ და ამას ხსნის იმ გარემოებით, რომ დენიკინს დამფუძნებელი კრება არ გაურეკია, სემიონოვი ტიმოფეევის თანხმობაში კოლჩაკზე თავდასხმის მოწყობის შესახებ, ხედავს ვიწრო პარტიულს (დამახინჯებულია) და არა სერიოზულ სურვილს რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისას.

სემიონოვის ჩვენების გამო, ტიმოფეევი გადადის (გამოტოვებულია და დამახინჯებული). რატნერი აოასტურებს სემიონოვის განმარტების სიმართლეს და ხაზგასმით აღნიშნავს პარტიის მეთაური წრეების წაჯიქ-უკუჯიქობას. იმ ერთი მეორეს საწინააღმდეგო და გაუგებარ პოლიტიკის გამო, რომელსაც ატარებდა პარტიის ცეკა, ადგილობრივი ორგანიზაციები (გამოტოვებულია).

7 ივლისის სადამოს მთელ სხდომაზე სწარმოებდა იმ დოკუმენტების გამოქვეყნება, რომელიც ეხება პარტიის მე-9 და მე-10 ყრილობას.

გერმანიის ამბები

გამოხვლები

ნაუენი. 7 ივლისი, ბერლინში მომხდარი მანიფესტაციის გამო, გერმანიის ბევრ პროვინციალურ ქალაქებში მოხდა გამოსვლები. არის მრავალი მოკლული და დაჭრილი. ამ ჟამად წესიერება აღდგენილია

დაპატიმრებანი

ბორდო. 7 ივლისი, დიუსელდორფიდან ბერლინში ჩამოიყვანეს ინჟენერი კეიცი, რომელსაც ბრალს სდებენ რატენაუს მკვლელობის მონაწილეობაში.

არ სცხრებიან

ბორდო. 7 ივლისი, მემარცხენე პარტიის წევრები ყოველ დღიურად ღებულობენ წერილებს, რომელშიც მათ სიკვდილით ემუქრებიან. სხვათა შორის იმიტომ რომ თავი ეხსნა მკვლელობისაგან, გერლიხი იძულებულუ გახდა ხაზღვარ გარეთ წასულიყო.

რევოლიუციის ნაპერწკლები

ბორდო 7 ივლისი, კომუნისტური პარტია კიცხავს დამოუკიდებელ სოციალისტებს მთავრობაში შესვლის გამო და მოითხოვს მონარქისტების მეთაურების დაპატიმრებას და ყველა ნაციონალისტური გაზეთების დახურვას.

მთავრობის შედგენა

ჰანნოვერი. 7 ივლისი, ცენტრმა და დემოკრატებმა წერილობით მიმართეს სახალხო პარტიას, რომლითაც აუწყებენ მას, რომ ისინი მზად არიან ითანამშრომლონ მასთან და მაშასადამე ამით ისინი სთხოვენ სახალხო პარტიას მისცეს მართლაც ადგილი მთავრობაში.

გარდენზე თავდასხმის გამო

ბორდო. 7 ივლისი, პოლიციამ გაიგო რომ გარდენზე თავდასხმის ხელმძღვანელები იმყოფებიან ოლდენბურგში. ამის გამო მრავალი პირი დაატუსაღეს.

მკაცრი შეტაკებანი

ბორდო. 7 ივლისი, ცვიკაპეში ბრბომ თავს დაესხა პოლიციას, რომელმაც თავდამსხმელებს სროლა აუტეხა. ბრბომ მოითხოვა პოლიციელების განიარაღება და იარაღის მათთვის გადაცემა. პოლიციელებმა ამაზე უარი განაცხადეს. ამის შედეგად მოყვა შეტაკება. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს და ძალებათ წაიყვანეს მუნიციპალური საბჭოს წევრები.

გერმანიის ამბების შესახებ

მოსკოვი. 7 ივლისი, რატენაუს მკვლელობის გამო გერმანიის მთავარ ქალაქში გაიმართა მკაცრი შეტაკებანი მემარჯვენე და მემარცხენე პარტიებს შორის მრავალ ადგილას ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდა.

— შვეიცარიაში დაპატიმრეს გერმანიის თავდაცვის სახალხო კავშირის თანამშრომელი, რომელმაც მისცა რატენაუს მკვლელებს ავტომატიური რევოლვერი. მკვლელობაში მონაწილეობის მიღების ბრალდების გამო დაპატიმრეს ნაციონალური პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელები.

— რესპუბლიკის თავდაცვის კანონის მიღებას გერმანია უნდა უმადლოდეს პროლეტარიატის ერთსულოვან მოთხოვნილებას. პროლეტარიატის ამ ერთსულოვნობის გამო სამი სოციალისტური პარტიის კომისიამ და მუშა-მოსაძსახურეთა კავშირმა წარუდგინეს მთავრობას ულტიმატიური მოთხოვნილება რესპუბლიკის თავდაცვის კანონის ცხოვრებაში გატარების შესახებ. ბერლინში მოხდარმა მუშათა დემონსტრაციამ დიდი გავლენა მოახდინა. თითქმის ყველა მაღაზიები იყო დაკეტილი. მუშები აღელვებულნი არიან. დემონსტრაციაში თვალსაჩინო ქალები იღებენ მონაწილეობას. რკ. გზაზე მუშაობა შეჩერდა ნახევარი საათით, ხოლო ტრამვაი არ მუშაობდა 3 საათის განმავლობაში.

უცხოეთი

რუსეთის დახმარება.

რომი. 7 ივლისი. ცარიცინიდან მიღებული ცნობების თანახმად. იტალიის წითელი ჯვრის საზოგადოების მისიამ საბჭოთა მთავრობის შემწეობით დაიწყო თავის მუშაობა დამშეულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ზემო-სილეზია.

მოწოდება მშვიდობიან ცხოვრებისაკენ.

ნაუენი. 7 ივლისი. კანცლერ ვირტმა ზემო-სილეზიის მცხოვრებლებს მიმართა მოწოდებით. რომელშიაც იგი მოუწოდებს მცხოვრებლებს მოერიდონ ყოველგვარ გამოსვლებს უცხოელ ჯარების და ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან იქ უკანასკნელები დასტოვებენ ამ მხარეს რამდენიმე დროის შემდეგ და ამიტომ ყოველგვარ გამოსვლას დიდი ზიანი შეფძლია მოუტანოს ზემო-სილეზიას, ისე მთელ გერმანიას.

გენერალ ლერანის გამგზავრება.

ნიუენი. 7 ივლისი. კვირას ზემო სილეზიიდან გაეძგზავრა გენერალი ლერანი.

გაფიცვა რიგაში.

მოსკოვი. 7 ივლისი. პურისმცხობელთა გაფიცვა რიგაში გრძელდება. გაფიცულია 123 მეფურნე.

ფინლიანდიაში.

მოსკოვი. 7 ივლისი. ფინლიანდიის სეიმის არჩევნების დღემ მისცა სოციალ-დემოკრატებს 14087 ხმა, ხოლო კომუნისტებს 12.200. სულ პირველ დღეს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 73,000 კაცმა. პრესა აღნიშნავს ამმომრჩეველთა მნიშვნელოვან აბსენტეიზმს, რომელსაც ეფრო ნაკლებათ აქვა ადგილი მუშათა წრეებში.

გაზეთების გაფიცვა გერმანიაში.

მოსკოვი. 7 ივლისი. გაზეთების გაფიცვა ბერლინში თანდათან ძლიერდება. შესაძლებელია გაფიცვა მოედვას პროვინციასაც.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 7 ივლისი. შრომის საერთაშორისო კონფერენციის მეორე კონგრესზე დარაგინამ წარმოსთქვა სიტყვა, აღსავსე სასტიკი ცილისწამებით კომუნისტების წინააღმდეგ და მოუწოდებდა აუდიტორიას ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისკენ.

პოლონეთის მარკა.

მოსკოვი 7 ივლისი. გაზეთი „პოლონია“ იტყობინება. რომ პოლონეთის ფინანსთა სამინისტრომ დეპეშა გაუგზავნა ბანკებსა და ბირჟებს, რომელშიც იგი წინადადებას აძლევს მათ სამი დღის განმავლობაში არ შეიყიდონ უცხოეთის ვალიუტა, რათა ამით განამტკიცონ პოლონეთის მარკის კურსი. ამავე დროს ეცნობა, რომ ფინანსთა სამინისტრომ ამ თამაშში [illegible] ხელოვნურად გაადიდოს მარკის კურსი, ახალი პრემიერის სეიმში პირველი გამოსვლის გამო.

რუსეთის კრედიტები.

ბორდო, 8 ივლისი. სოკოლნიკოვმა განაცხადა ჰაგაში, რომ თუ საბჭოთა მთავრობას არ გაუხსნიან კრედიტებს, რუსეთი ვერ შესძლებს იმ ვალების გადახდას, რომლის გადახდაზეც იგი თანხმა არის.

ახალი ამბები

— სამაზრო და სათემო აღმასკომების რეორგანიზაცია. შინ. საქმ. სახ. კომისარიატში შემუშავებულია სათანადო პროექტი სამაზრო და სათემო აღმასკომების რეორგანიზაციისა. პროექტი დაეგზავნა გასაცნობად და დასკვნისათვის ცენტრალურ ორგანოებს და სამაზრო აღმასკომებს. პროექტით საგრძნობლად გამარტივებულია მართვა გამგეობის კონსტიტუცია და შემცირებულია ხარჯები. თემის აღმასკომი უნდა შესდგებოდეს თემის შემადგენელ სოფლების წარმომადგენელთაგან, რომელთაც ირჩევს საქმ. სათემო აღმასკომში კოლეგიალური პრინციპი უქმდება. ყველა საქმეები უნდა განაგოს თემის აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც ეს რუსეთის „ვოლოსტის“ აღმასკომშია. კანცელარია შესდგება სამი პირისაგან.

სამაზრო აღმასკომების 13 განყოფილებისაგან რჩება მხოლოდ 3: სამეედრო, მართველობის და საფინანსო. მართველობის განყოფილება შესდგება 6 ქვეგანყოფილებისაგან. სახალხო განათლების, მიწათ მოქმედების და სხვა განყოფილებანი გაუქმდეს და მათ ნაცვლად შემოღებულ იქნან სათანადო ინსპექტორები, ოაც დიდად ამოკლებს მოსამსახურეთა რიცხვს. ამჟამად საქართველოს ყველა 442 თემის პრეზიდიუმშია 1236 კაცი და ყველა ირიცხებიან სახელმწიფო მომარაგებაზედ. ახალი პროექტით კი სახელმწიფო ხარჯზედ ჩრება მხოლოდ 442 თავმჯდომარე თემებისა. პროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რაშიაც აღნიშნულია, რომ ასეთი რეფორმა ნაკარნახევია,

სატირიკონი

(გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 11 **№ 11**

ხელის მოწერა.

„სატირიკონზედ“ არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად გაუმჯობესებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის“ ხელმომწერლებს.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის“.

„რწყილი და ჭიანჭველა“

არ არის არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომ „რწყილი და ჭიანჭველა“ არ წაეკითხოს, არც ერთი თხზულება, არც ერთი მენშევიკური ჟორი არც ისე გავრცელებული საქართველოში, როგორც „რწყილი და ჭიანჭველა“. მიუხედავად ამისა არც ავტორია მისი ცნობილი და არც წარმოშობის დრო. არც იმისი თქმა შეიძლება დანამდვილებით—ორიგინალი ნაწარმოებია ეს უკვდავი პოემა, თუ ნათარგმანები.

ყველა ეს კითხვები იმდენად საინტერესოა და ღირსშესანიშნავი, რომ ჩვენ გადავსწყვიტეთ მისი გამოკვლევა, რაც უნდა დაგვჯდომოდა. ამ მიზნით ჩვენ მივუდექით საკითხს ახალი მეთოდოლოგიური მიდგომით და გვინდა მკითხველს გავუზიაროთ ევენი მეცნიერული ძიების შედეგები.

როდისაა დაწერილი პოემა „რწყილი და ჭიანჭველა?“ ჭეშმარიტი ნხატვრული ნაწარმოებისათვის თარიღს დიდი მნიშვნელობა არა აქვს: ის მუდამ ახალია. ამის დასამტკიცებელად საკმარისია მოვიყვანოთ ზემდეგი უდავო ფაქტი: არც ერთი მანდილოსანს არ ახსოვს დაბადების თარიღი და ამიტომ მუდამ ახალგაზრდაა. რამდენ ასეთ უთარიღო მანდილოსნებს შეხვდებით ყოველ დღე რუსთაველის პროსპექტზედ! და ვინ იტყვის, რომ ეოველი მათგანი არ იყოს ხელოვნური ნაწარმოები, ან რომელიმეს აკლდეს ფერი და სადებავი? ერთი ახალგაზრდა მეცნიერი ძალიან დაინტერესა ერთი ასეთი მანდილოსანის თარიღმა, მაგრამ ვერავითარი მეთოდოლოგიური მიდგომით ეს ვერ აღმოაჩინა.

საბედნიეროდ ჩვენი პოემის თარიღი არაა ასე ძნელი აღმოსაჩენი. თუ მოვიგონებთ საწყალი რწყილია თავგადასავალს, რომ ვისაც მიმართა,— ყველამ ქრთამი მოსთხოვა და მანამ ვერას გახდა, სანამ ყველანი ქრთამით არ გაძღა,—მაშინ ჩვენთვის აშკარა გახდება, რომ პოემა დაწერილია იმ დროს, როცა წარმოიშვა ქართული ანდაზა; ქრთამი კაცს ჯოჯოხეთიდანაც, ე. ი. ცუდი ბინიდან გამოიყვანსო.

მას შემდეგ, რაც ასეთი მათემატიკური სისწორით აღვადგინეთ პოემის თარიღი, ძნელი არაა ავტორის ვინაობის გაგებაც. პოემაში ისე დაწერილებითაა აღწერილი ყოველივე და ისე კარგად არის დახასიათებული მომქმედი პირები და მათი გემოვნება, მაგ. ღორს რკო უყვარს, ყვავს—წიწილა, კატას—რძე და სხვა, რომ აუცილებლად ძალიან დაახლოებული ყოფილა ამ წარჩინებულ პირებთან. უამისოდ ავტორს არ ეცოდინებოდა ვის რა ესიამოვნებოდა. მაგ. კატას რომ რკო მოეთხოვა და ღორს რძე, მაშინ ნაწარმოები ფუტური. სტუდ ხასიათს მიიღებდა, და რა კი ეს ასე არაა, ცხადია ავტორს კარგად სცოდნია, რაზედაც სწერდა. გარდა ამისა, პოემაში მშვენივრადაა დახასიათებული მაშინდელი ბიუროკრატიული წესები: რწყილმა ცხრა ინსტანცია უნდა გაიაროს, რომ მიზანს მიაღწიოს. ცხადია ავტორი ძლიერ დაახლოებული ყოფილა ამ დაწესებულებებთან და პირებთან. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ავტორი ძალიან ერიდება მათ და პირდაპირ იახლებს, მაგრამ მაინც ვინ ვერ იცნობს ამ კაც-თაგვებს და კრუხ-ყვავებს? ყოველივე ეს საკმაოდ აშკარად ყოფს ავტორის ვინაობას, რომელიც ჩვენ ასე სათლად გამოვარკვიეთ და თუ ვინმემ მაინც ვერ გაიგო, ეს თავის ჭკუას დაებრალოს და არა ჩვენ მეთოდოლოგიურ მიდგომას.

რაც თვით პოემის შინაარსს შეეხება, იქ ჩვენ აღმოვაჩინეთ ბევრი ყალბი ადგილები, რომელიც შემდეგ ჩაუმატებიათ სხვა და სხვა პოეტებს. რა თქმა უნდა პოემას აკლია ბევრი ნამდვილი ადგილებიც. რომელთა ორიგინალი სამუდამოდ დაკარგულა, მაგრამ აქ მაინცა და მაინც დიდად საამწუხარო არაფერია: ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომა სრულ საშუალებას გვაძლევს პოემა სავსებით და უნაკლოდ აღვადგინოთ. მას ჩვენ „სატირიკონის“ შემდეგ ნომერში მოვათავსებთ. ეხლა კი ყოველი შემთხვევისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ პოემა არ შეიცავს ისტორიას, თუმცა ავტორის გენიალური ნიჭი ახერხებს და „შეპარვით“ ახასიათებს მაშინდელ წარჩინებულ პირებს, მათ ძმობა-ერთობას, მეკრთამეობას და სხვა.

ჩვენი აზრით პოემა აუცილებლად ნათარგმნი უნდა იყოს, ვინაიდან იქ დახასიათებული მეკრთამეობა არ ახსოვს საქართველოს სინამდვილეს არც ერთ ეპოქაში.

ასეთია ჩვენი უდავო დასკვნები ამ უკვდავი პოემის შესახებ.

წკიპურტაძე.

ნაწყვეტები ძველი მწერალთა კავშირის წევრების ნაწერებიდან*)

1.

ნეტა სად გაქრა ჩემი მეფობა,
სადამოც გაქრა მზგავსი ქომერის,
მე გულში დაჭრა ზიზღი და ტრფობა,
როცა მარტო ვარ ვიგონებ მერის...
წავალ ვეწვევი მთაწმინდის მთვარეს,
ო, რამდენია ლოცვები წმინდა,
მე ქვეყანაზე ვერ ვგრძნობ მოყვარეს,
მე ვგრძნობ კახური არაყი მინდა.

გალაქტიონ ტაბაძე.

2.

მე მოვიარე გერმანეთი ცეცხლით მქშინავი,
ფილოსოფიის დოქტორი ვარ, კითედრას ველი;
სვიმბოლიური გოეთე მწამს ხიტვით მბრწყინავი,
მაგრამ არ არის, ვიცი, მაინც ჩემი საშველი.

კონსტანტინე გამსახურდია.

3.

მაქვს ადგილი საუფროსო,
ჩვენ მწერლები ვცხოვრობთ ძმურად,
თუმცა გრიშაშვილი სოსო
ილანძღება უწმაწურად.
მე, სალანს, არ შემშვენის,
ვერ გავისვრი მასზედ ხელსა,
ან რა ჭკუა უნდა ვსთხოვო
მეფისტოფელს ხარფუხელსა.

კ. მაყაშვილი.

4.

ვინ წამართმევს მგოსნის სახელს,
სულ ვიძახი აჯან, აჯან,
სონეტებზე უკერო მოსწონს
ამ ხალხს ჩემი „ბარაშკაჯან“.
ჩემი ლექსი ხასხასაა,
ალაბრეულად დაპარპაშებს.
და სცენაზე გამოსვლისას,
ვინ მიიღებს ჩემდენ ტაშებს.

ი. გრიშაშვილი.

5.

ვაიმე! ქრება ელექტრონი, არც მაქვს სანთელი,
ამ სიბნელეში ვინ გაარჩევს პოეტის სახეს,
ბოლშევიკებმა დააყენეს კორიანტელი
და სასახლიდან ნარკომპროსში გადამასახლეს.

ხ. აბაშელი.

6.

გამსახურდია, გრიშაშვილი და ტრაგენია...
რა ჟედენ კალაძე, ვაკელი და სანდრო ეული,
პროლეტარგების პოეტობა ჩემი ბედია,
ვინც შემეცილოს მე ამაში იყოს წყეული.

თბილელ მუშა.

*) ეს ნაწერები ჩვენმა თანამშრომელმა ბეჟან ხლუსტმა შემთხვევით ჩაიგდო ხელში, შემდეგ ნომრისთვის ვეპირდება მოგვაწოდოს ახალი მწერლობის კავშირის წევრთა შედეგრები. **რედ.**

ნინო ჩხეიძე

ნინო ჩხეიძე

აბოდებს ქალაქს ცოდვები ღამის,
მთვარის სირსვილი ედება ქუჩებს.
აფიქრებს მგზავრებს სიავე წამის
და იხურავენ ქურდები ზუჩებს.

ამაღლებს სურვილს ძველი მარნები,
ლოთ მსახიობებს აგიჟებთ ღვინო.
აფითრებს თეატრს რუხი ფარნები,
ამუნჯებს დარბაზს ღიმილით ნინო.

ვით ჰური ნაზობს სევდიან სახით
ადარდიანებს მდუმარ კულისებს.
ატყვევებს ყველას უჩინარ მახით.
ამსხვრევს ყველაფერს, რაც აგულისებს.

მეფურ მოწყენით ამშვენებს სცენას,
ბრძანებლობს წყნარათ მონა ხადუმებს.
ხან დანანებით ეძლევა ლხენას,—
მრისხანე სიკვდილს თვის წინ ადუმებს.

ხან კრიალოსანს მარცვლავს თითებით:
აქვს მწუხარებაჰ გადუჩვევ ნირათ.
ძვირფას ქალბატონს ნაზ მორიდებით—
როგორც ზეინაბს, ვიგონებ ხშირათ.

რაუდენ გვეტაძე.

წიგნიდან „დაბინდული ქარვები“.
ქუთაისი, 1919.

ნინო ჩხეიძე

დღეს რუსთველის თეატრში ნინო ჩხეიძის გასტროლია. წარმოდგენილი იქნება მარგარიტა-გოტიე რომელიც ერთს საუკეთესო რეპერტუარის არის ჩვენი ნიჭიერი მსახიობისთვის.

ქართული თეატრის შესახებ ვისაც აქვს მცირეოდენი წარმოდგენა მისთვის ცნობილი იქნება ნინო ჩხეიძის პიროვნებაც. ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს ქ-ნ ნინოს, იცნობს, როგორც საუკეთესო მსახიობს ჩვენს სცენაზე, როგორც თავდადებულს და დაუღალავ მუშაკს ჩვენი თეატრისას.

რომელი ქართველის გულს არ განუცდია ესტეტიური ექსტაზის უმწვერვალესობა ნინო ჩხეიძის ხელოვნური შემოქმედებით. რომელი ქართველის მეხსიერებაში არ აღბეჭდილა სათნო და ფერმკრთალი, ლამაზი სევდის გამომხატველი ფიგურა, რომელიც სულიერი განცდის უკიდურესობას სახავს სხვა და სხვა დეკორაციებში და უმაღლეს წერტილამდე აჰყავს ესტეტიური ემოცია.

ნინო ჩხეიძეს, ამას წინეთ, ქართველმა ხალხმა შესანიშნავი ტრიუმფი გაუმართა და უნდი აღინიშნოს, რომ ეს ტრიუმფი სავსებით დაიმსახურა ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა“.

ჩვენი კულტურის საამაყო პიროვნებათა შორის ქ-ნი ნინო აუცილებლად არის წარმომადგენელი სცენიური ხელოვნების, რომლის სამსახურს იგი ეწევა თავის დიდი ნიჭითა და დიდი შრომით.

ქართულ თეატრს უკეთმართი ბედი სდევდა თან. ქართულ თეატრის გუშაგი უნდა ყოფილიყო არა მარტო მსახიობი, ხელოვანი, არამედ დიდი პატრიოტი, მამულიშვილიც. პატარა ნებისყოფა და სუსტი ენერგია არ იყო საკმაო იმ მრავალ დაბრკოლებათა გადალახვისათვის, რომელიც წინ ეღობებოდა ჩვენი თეატრის არსებობას და განვითარებას.

ამიტომ ქართველი მსახიობი ამავე დროს დიდი ეროვნული მოღვაწეც იყო, იგი მსახურებდა იმ ერს, რომელსაც ფეხ-ქვეშ თელავდენ, იგი დარაჯობდა იმ ენას, რომელსაც ძაღლის ენას უწოდებდენ. ამ მხრივ, შეიძლება ჩვენი თეატრი ასრულდა თავის პირდაპირ დანიშნულებას, მაგრამ მან უდიდესი სამსახური გაუწია ჩვენი ეროვნული კულტურის გამტკიცების და აყვავების საქმეს.

ქ-ნი ნინო ჩხეიძეც იმ მსახიობთა პლეადას ეკუთნის, რომელიც ორივე ფრონტზე იბრძოდა თავდადებით და რომლის ბრძოლამ დიდი ნაყოფი გამოიღო ჩვენი ხალხისათვის.

დღეს, როდესაც ქ-ნი ნინო ჩხეიძის შესახებ გვიხდება ლაპარაკი, უნდა გამოვტყდეთ ეს მეტად გვეძნელებია. გვეძნელება იმიტომ, რომ ნინო ჩხეიძის პიროვნება თავის თავად მრავალ მეტყველია და მრავალის მთქმელი. შეიძლება ნინო ჩხეიძის შესახებ გვიხდება ლაპარაკი, უნდა გამოვტყდეთ ეს მეტად გვეძნელება. გვეძნელება იმიტომ, რომ ნინო ჩხეიძის პიროვნება თავის თავად მრავალ მეტყველია და მრავალის მთქმელი შეიძლება ნინო ჩხეიძის შესახებ ბევრის წერა და ბევრის ლაპარაკი, შეიძლება მისი შეფასება, როგორც ხელოვანის, როგორც ქართულ სცენის მსახურის, როგორც ეროვნული მოღვაწისაც კი, მაგრამ ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი შრომა, დიდი დრო და ვრცელი საუბარი.

დღეს კი მხოლოდ ის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ტფილისის სცენისათვის ნინო ჩხეიძის სტუმრობა აღსანიშნავი მოვლენაა. სასურველია, რომ დედა ქალაქის სცენაზე ხშირად ვხედავდეთ ჩვენს სახელოვან მსახიობს, რასაც სამწუხაროდ ამ უკანასკნელ წლებში ადგილი არ ქონია.

დღეს ქართველი საზოგადოება კვლავ იხილავს ქ-ნ ნინოს თავის „მარგარიტა-გოტიეში“..

ს.

სამსახვრელ ქრონიკა

ნინო ჩხეიძე. დღეს, 9 ივლისს, რუსთველის თეატრში, [illegible] დამსახურებულ მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის გასტროლი წარმოდგენილი იქნება ალ. დიუმას ცნობილი პიესა „მარგარიტა გოტიე“, რომელშიაც ქ-ნი ნინო შეასრულებს მარგარიტას როლს. მონაწილეობენ ჩვენი სცენის საუკეთესო ძალები.

—

გრიგოლ ცეცხლაძის წიგნი. აგვისტოს პირველ რიცხვებში გამოვა პოეტის გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების პირველი წიგნი „გაქენებული მონუმენტი“.

პარტიაში

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ბათომის საქალაქო კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ამხანაგების სიყურადღებოთ, რომ ის ამხანაგები, რომლებიც არ არიან რეგისტრაციაში გატარებული, ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ რეგისტრაციაში გჯსატარებლათ ივანე ბარამიძესთან ან სამსონ ებრალიძესთან 3 საათიდან 4 საათამდის ბაქოს ქუჩა № 70.

ბათომის კომიტეტი

მემარცხენე სოც. ფედერალისტ მბეჭდავ მუშების ფრაქციის მორიგ კრებაზე დადგენილ იქნა:—ფრაქციამ კვლავ ენერგიული მუშაობა აწარმოვოს პროფკავშირში და მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მომავალ სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშათა ყრილობაზე.

—

მბეჭდავ მუშების საერთო კრება. დღეს, 9 ივლისს, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში, დილის 8 ს. დანიშნულია მბეჭდავ მუშების საერთო კრება. დღიური წესრიგი:

1) საერთაშორისო მდგომარეობა.

2) ანგარიში ცენტრალურ გამგეობის და სარევიზიო კომისიის.

3) არჩევნები დელეგატებისა სრულიად საქართველოს მბეჭდავ მუშათა ყრილობაზე.

4) ანგარიში პოლიგრაფიული განყოფილებისა.

5) სხვა და სხვა საკითხები.

7.
მე მოხუცი ქართველი ვარ
ბგერაკზე წასვლა მინდა,
რომ წადვერში კვლავ დავანთო
პოეზიის ცეცხლი წმინდა,
მაგრამ ღმერთო შენ გაუხმე,
ვისაც ჯერ არს იმას თავი,
არც ერთ მგოსანს არ აგზავნის
თავის ხარჯით ნარკომზღრავი.

დუტუ მეგრელი.

8
დამესიზმრება თითქოს ტყეში ვარ
მხრებზე დამადგეს მე საყადლები,
ლომისკარელო შენ დამიფარე
მომაქვს სანთლები თითო ადლები.

ხარიტონ ვარდოშვილი.

9.
აბა ხალხო ტაში, ტაში!*)
ლალე, ლალე, ლალე!
ვინც არაყზე დამპატიჟოს
იმას ვენაცვალე

გ. ქუჩიშვილი.

10.
ვიფიქრე მოდი წიგნს გამოვ(ეკმ-თქვა,
ჩემს ლექსებს ერთად თავსა მოვუყრი,
მაგრამ ცენზორმა შემიკრა სუნთქვა,
და პარასკევის წაშალა მწუხრი.

ი. მჭედლიშვილი.

11.
ადარასოდეს, ადარასოდეს
ბარათს არ მოგწერ გაგვარდეს ჯანი,
ყველამ იცოდეს, ყველას ახსოვდეს,
რომ დაგემდურა შენ მარიჯანი.

მარიჯან

12.
სტამბას არ მივცემდი
არვის ჩემი ნებით
მაგრამ ჩამომართვეს
ტანჯვის კოლონებით
პოლიგრაფი ხარობს
იმ ჩემი ქონებით.
მე კი ბრაზი მახრჩობს,
ვიწვი მოგონებით.

ვ. რუხაძე.

შევკრიბე ესე ლექსები
ხელის-ხელ საგოგმანები,
მე ბეჟან ხლუსტმან ხელობით
საქმე ვქმენ საპოპმანები.

ბეჟან ხლუსტი.

*) მსახიობ ეიაურელს ამ ლექსის წაკითხვა სცენიდან სასტიკათ ეკრძალება.

რედ.

როგორც გამოცდილებისაგან, ისე ადგილებიდან მიღებულ განცხადებებისაგან.

— შინაგან საქ. სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილების გამგე ექიმი ა. გ. სიდამონიშვილი დანიშნა უფროს ექიმად საქ. შერეულ სამხედრო სკოლის კურსანტების ლაზარეთისა. მის ადგილზედ დანიშნა იურისტი პ. ვ. კიზირია.

— **სამთამადნო მუშების** მეორე საერთო ყრილობა დანიშნულია ივლისის 10 სათვის ტყვიბულში.

— **ფოთის ნავთსადგურში** ივლისის 4 მოვიდა ოსმალეთის იალქნიანები. „სუდამეთი“ 200 ფ. ტვირთით სოხუმიდან, „ხუდიფერდი“ 200 ფ. ტვირთით დონის როსტოვიდან, „ლალა“ 12 მგზავრით, ოჩემჩირიდან „ვიმეი“ 25 ფ. ტვირთით და მგზავრით.

სამი ხელელი.

ერთმოქმედებიანი პიესა.

ვისთვის კომედია და ვისთვის ტრაგედია.

(სცენა წარმოადგენს ბუდუ მდივანის მისადგომ ოთახს. ოთახში შემოდის კარის კაცი და გადასცემს ბარათს.)

კარიხკაცი. ბატონო ამხანაგო. ბუდუ შეაწყვეტინებს.—ვინ არის შენი ბატონი, ზენი თავის ბატონი შენ თვითონ ხარ. არ შეიძლება ბატონიც და ამხანაგი იყოს კაცი. გესმის, ამხანაგო?—კი ბატონო... უკაცრავად ამხანაგო. მარა აქ ჯერ ამხანაგობია არ არის ბატ... უკაც.. ამხანაგო, და რავენა, მარტო თქვენდამი მიპირს ამ სიტყვის ხმარება... მაპატიეთ. კარებისაკენ უკან იხევს.

(ბუდუ კითხულობს ბარათს). ბუდუ კი სისიკო... სისიკოს ხელია, კი შენი პირიმე: უსათუოდ უნდა მიძიდოვო სწერს. აბა რავა ეგონა ჩემს სისიკოს, რომ კონფერენციაზე შეხვდა და ვითომც ვერ მიცნო, გვერდი გამიარა. შემდეგ ჩაფიქრებულად განაგრძობს:—ჩვენ ბოლშევიკები დიდი ამტანი ხალხი ვართ, დიდი სულგრძელობის გამოჩენა შეგვიძლია სწორედ.

მშიერი კვდებოდით, პერანგის ამხანაგი ამხანაგობისათვის ბრძოლამ გაგვაძრო, სიცივემ, ზამთრის სიცივემაც კი ვერ გვაიძულა გაგვეხარა ჩვენი, ჩვენი ბოსკოვის ყინვაზე უფრო ცივი გადაწყვეტილება: დავწყდეთ და თავისუფლებას არ შევეღალოთ თქვა. თორემ აგერ ესერები რომ ბრძანდებიან... თეთრი პუჩისათვის თეთრი ანტანტის ლაქიებიც კი გახდენ.

ი ჩემი სისიკოს საქმეც ამის მაგალითია. რომ შევხვდე კონფერენციაზე, აგერ, სადაც გენუაში, სული წამივიდა, კი... კი შენ ნუ მომიკვდე, გადაგვევ ძინდოდა, მაგრამ წარმოძიდგა წინ ჩემი memento mori ამბავ. ჩიჩერინი და ალიბუშევით ძიუკარებელი და ცივი გავხდი. სისიკოსაც გვერდი ამიარა, ვითომ არც კი შეუჩნევივარ. მოვიდა ჩემთან.

მარა ბოლოს მაინც იგი სისიკო ხომ გვეენი პეტროვიჩის ორიენტაციას იზიარებს ვ. ი. თანამედროვე კაპიტალისტური ურთიერთობის გახმტკიცების მომხრეა, მაშასადამე მისი ასეთი საქციელიც ლოლიკურია; ბურჟუაზია სულ წასულია, გაუმაძღარი. შემდეგ მიმართავს კარისკაცს, რომელიც რადაცაზე ბუზღუნებს, დაუძახოს იმ „ვიღაც ქართველს“ კარის კაცი გარეთ გამოდის უკმაყოფილო: ბარათი შეუტანე და ერთი გროშიც არ მომცა, მეუბნება ამხანაგი ხარო. ბატონი გრაფი, ან ბარონი ამას რავა იკადრებდა. კარებს აღებს და სტუმარს ეპატიჟება. სისიკო ალელეებულია და სიხარულისაგან თვალებზე ცრემლები გადმოსდის.

ბუდუ, ჩემო ბუდუ, ხომ მშვიდობაა ჩემსას... ძახილით მივარდება და შემოეხვევა ყელზე ბუდუს. ბუდუც თავს ვერ იკავებს და კონტრგადახვევით უპასუხებს.

მაგრამ შემდეგ თავს იმაგრებს და სისიკოს სთხოვს დაბრძანებას.

ბუდუ. ნუ ღელავხარ ძმაო სისიკო, მშვიდობიანი, ზენსასაც, ხონშიც, საქართველოშიაც და საზოგადოთ მთელ საბჭოთა რესპუბლიკებშიაც.

სისიკო. თანდათანობით მშვიდდება. ძმაო, მე ყველაზე უფრო ცაცას ბედი მაინტერესებს, წინდაწინ ვგრძნობ, რომ თქვენ ხელში მას კარგი ლეგ არ დაადგებოდა; ყველაფერი ქალაქის მუშას, ყველაფერი სოფლის მშრომელ გლეხსო არა მარტო სიტყვით ამბობს თურმე, არამედ კიდეც ინსტიტუციებს და ცაცა კი არც ერთია და არც ძეორე; ვიცი იგი ამ ხიფათს ვერ გადაურჩებოდა.

ბუდუ. (სიცილით)ეს,.. სისიკო, თურმე ზეა ძმასაც ვერ იცნობს კარგათ წითელი ჯარები, რომ ტფილისში შევიდა წვსიერეის პირველი დამცველი და რევოლიუციის ერთგული დარაჯი იყო ჩვენი ცაცა.

სისიკო. ბატონო, ეს ასე უნდა ყოფილიყო; არც კი გაძახსენდა ეს მთავარი მიზეზი.

(ფარდა არ დაუშვათ, შემდეგი იქნება).

მეოთხე ხონელი.

რედაქტორი ავენა წკიპურტაძე.

სახ. სასურ. კომისარიატში

ამხ. ამირაგოვის დაბრუნება ბაქოდან. ბაქოდან ტფილისს დაბრუნდა თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა სახალხო სასურსათო კომისრის მოადგილე ამხ. მირაგოვი, რომელიც წასული იყო საქარ. სასურსათო კომისარიატის მიერ იჯარით აღებულ აზერბეიჯანის თევზის სამრეწველოების დისათვალიერებლად.

სასურსათო კომისარიატი და ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა. სასურსათო სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა თავის მხრივ დახმარება აღმოუჩინოს ნატანებ-ოზურგეთს შორის რკინის გზის შტოს გაყვანის საქმეს, რისთვისაც ძან. გადასდო: 50 ნაჯახი, 100 ბარი, 100 ხერაქვი, 30 წვრილ-წვეტიანი ლომი, 15 ხერხი, 5 ჰოპოსანი, 25 „კუვადი", 8—10 გირ. 50 ვედრო, 200 კოუშკა წყლისათვის, 5 სპილენძის ქვაბი 4—5 ვედრიანი, 5 მჭედლის ჩაქუჩი, 5 ქლიბი, 5 ქვაბი წყლის ასადუღებლად, 6 რეზინის მლანგი, 10 ფუთი 6 დიუიმიანი ლურსმანი, 500 ფუთამდე ქერი და სიმინდი და 1000 ფუთი თევზი.

აბრეშუმის პარკის რეალიზაცია. სახალხო სასურსათო კომისარიატმა ამ დღეებში გაყიდა კიდევ ერთი დიდი პარტია შარშან შეგროვილ აბრეშუმის პარკისა, რომლის რაოდენობაც 4.000 ფუთს უდრის. ანგარიში გასწორებულ უნდა იქმნეს ხალდ ფულად ბათომში უცხო ვალიუტით. პარკის რეალიზაცია გახდა სწორედ იმის მიზეზი, რომ უკანასკნელ დღეებში ბაზარზე საგრძნობლად დაეცა უცხო ვალიუტის კურსი. პარკის საფასურად მიღებულ ჯამის ერთი ნაწილი გლეხებს მიეცემათ შარშან ჩაბარებულ პარკის ანგარიშში და მეორე ნაწილი დაურიგდებათ იმავე გლეხებს ავანსის სახით მიმდინარე კამპანიის დროს შესაგროვებელ პარკის ანგარიშში, ხოლო დანარჩენი ნაწილი მოხმარდება სახალხო სასურსათო კომისარიატის საკომერციო ოპერაციებს.

ულუფის დარიგება. ამ დღეებში სახალხო სასურსათო კომისარიატი არიგებს ულუფებს, რომელიც მოუწევს მუშა-მოსამსახურეებს აპრილის 1-ძდე. ულუფიდან ნაკთი სოულიად გაორიცხულია, რაც შეეხება 10 გირვანქა კართოფილს და 5 გირვანქა ლობიოს, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ეძლეოდათ, ის ნაცვლად მიეცემათ შვიდ-შვიდი გირვანქა თეთრი ფქვილი.

საკონლის გაცვლა რუსეთთან. სახალხო სასურსათო კომისარიატი მოკლე ხანში მოსკოვში ახალ მარშრუტს გზავნის სხვა და სხვა საკონლით. რომელიც გადაცვლილ იქნება ფართლეულსა და საქართველოსთვის საჭირო სხვა საგნებზე. მარშრუტის გამგეთ დანიშნულია ამხ. შალვა გეგეჭკორი.

თივის დამზადება. სახალხო სასურსათო კომისარიატი ამ ჟამად თივის დამზადებას საერეონო საფუძველზე აწარმოებს. გახარახულია, დამზადდეს მიმდინარე სეზონში 400.000-მდე ფუთი. თივის დამამზადებელ თანამშრომელთა შტატი 20 კაცით არის განსაზღვრული, რომელთაც შრომის ჯილდოთ მიეცემათ დამზადებულ თივის 3 პროცენტი.

სახალხო სასურსათო კომისარიატის საგარეო მოღვაწეობა. საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატი შეუდგა სახელმწიფო ვაჭრობის ფართო ორგანიზაციის მოწყობას, როგორც საბითუმო, ისე საწვრილმანო საგაჭროების სახით. რამდენიმე დღის წინად გახსნა დიდი მაღაზია სასახლის ქუჩაზე ყოფილ ჟირარდოვის შენობაში, მანუფაქტურის, ფეხსაცმელების, ჭურჭლეულობის და ფართე მოთხოვნილების საგნების განყოფილებებით. როგორც საქონლის რაოდენობა, ისე მათი ასორტიმენტი საკმაოდ დიდია. მანუფაქტურა უმეტესად რუსულია, კარგი ღირსების ყოფილ პროხოროვსკების ფაბრიკის. უნდა ითქვას, რომ მაღაზიის გახსნა მოხდა ბაზრისთვის არა ხელსაყრელ მომენტში, როცა საერთოდ ვაჭრობა დაცემულია, როცა კერძო ვაჭრებს ბევრი საქონელი აქვთ და თვით კოოპერატიულ ორგანიზაციებში საქონელი აწყვია თითქმის უმოძრაოდ, მაგრამ სასურსათო სახალხო კომისარიატის მაღაზიის საქონლის ბრუნვა პირველ ხანებივე გვიჩვენებს, რომ მისი ანგარიში სწორი იყო: საქონლის შერჩევამ და მაღალმა ღირსებამ და აგრედვე, შედარებით, ფასების სიმცირემ მიიზიდა მრავალი მყიდველები. ახლად გახსნილი მაღაზიის გავლენა ბაზარზე გამოიხატა იმაში, რომ მთელ რიგ კერძო ვაჭრებიდან სასურსათო სახალხო კომისარიატში შედის წინადადებები—სპეციალურ სააქციონერო საერო საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ დღეებში სასურსათო კომისარიატი ხსნის პლეხანოვის პროსპექტზე ყოფილ მაჩკოვსკის სტამბის შენობაში სასოფლო სამეურნეო იარაღების და მანქანების საწყობს. შეუდგნენ აგრედვე ორ საბითუმო პროდუქტების საწყობის მოწყობას დესიმონოვის მოედანზე და ვაგზლის ქუჩაზე. ამ საწყობებიდან უმთავრესად გაიყიდება პური, შაქარი და საკვები. ფქვილის და შაქარის პირველი პარტია უკვე მიღებულია.

ფედერალურ საგჭოში

პლენუმი. 5 ივლისს შესდგა ფედერალური საბჭოს პლენუმის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. მიანსნიკოვი. სხდომას დაესწრო საბჭოს პრეზიდიუმის წევრნი. ნ. ნარიმანოვი, შრომის კომისარი ამიერ-კავკასიისა იაკუბოვი, ფინანსთა კომისარი სვანიძე, სამხ. საქ. კომისარი ელიავა, საგარ. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე—მოგილევსკი, მდივანი რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის რაიონული კომიტეტისა—მ. ორახელაშვილი, სახკომფოსტელის მოადგილე ამიერ-კავკასიისა—მარკარიანი, სახკომფოსტელი ს. ს. ს. რ. ამხ. ყაბარული, საგარეო ს. ქ. კომ. გაჯინსკი.

ფოსტა ტელეგრაფის ს. ხ. კომისარიატი. ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელ. სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი იქმნა ორი პროექტი. პირველი, რომელიც მკაცრ ცენტრალიზაციის ჯერდა ბაზის დამოითხოვდა საეიურნეო ანგარიშების გაუმჯობესებას ცალკე რესპუბლიკებში, მეორე კი იცავდა ამ ანგარიშებს და ეძლეოდა რესპუბლიკების კომისარიატებს ფართო კომპეტენციას.

საკითხის გარჩევამ გამოიწვია დიდი კამათი, რის შემდეგ პრინციპიალურად მიღებულ იქმნა პირველი პროექტი, რომელიც ითითხოვს ფოსტა-ტელეგრაფის საქმეთა ცენტრალიზაციას.

სხვადასხვა ტარიფები. შემდეგ გადარჩა საკითხი სხვადასხვა ტარიფების შესახებ და ტექნიკური საკითხები, რომელიც დაკავშირებულია ამიერ-კავკასიის საბჭოს მმართველობასთან.

წინა პლენუმის სხდომის დადგენილების თანახმად, რომლის ძალით საბ ეს საბმართველო ემორჩილება ფინანსთა კომისარიატს, დადგენილ იქმნა—წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ფინ. ნ. სთა კომისარიატს გამოიმუშაოს ეს საკითხი საბჭოთ საბმართველოსთან შეთანხმებით და წარმოადგინოს დასამტკიცებლად საბჭოში.

ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე. საკავშირო ხელშეკრულების თანახმად საკავშირო საბჭოს თავმჯდომარეთ ირჩევა ერთი წევრი პრეზიდიუმისა მორიგეობით, რომელსაც ამტკიცებს საბჭოს პლენუმი. თადგან ოთხი თვის ვადა ამხ. მიანსნიკოვის თავმჯდომარეობისა ამ დღეებში სრულდება ფედ. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ნ. ნარიმანოვი.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის რეორგანიზაცია. კავკასიის რკინის-გზის საოლქო წარმომადგენლის ამხ. მარკაროვის ჩამოსვლის გამო, გადარჩევა საკითხი ამიერ კავკასიის რკინის-გზის ორგანიზაციის.

გახარახულია ერთი მმართველის მაგივრად შექმნილ იქნეს მმართველობა რამდენიმე კაცისაგან და შემოღებულ იქნეს ისეთი სტრუქტურა, რომ საბმართველოში შედიოდეს ამიერ-კავკასიის ეკონომიური ცხოვრების კარგად მცოდნე პირნი.

ფედერალური საბჭოს პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე ს. ს. ს. რ. კომისარიატის საბჭოს მიერ იქნა შეტანილი წინადადება 200 მილ. მანეთის ღღეებისა ცხენის-წყალის ნაპირების გასამაგრებლად. პრეზიდიუმმა დადგინა ვალდებული გახადოს ამიერ-კავკასიის რკინის-გზა დაეხმაროს საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დაწყებული მუშაობის დასამთავრებლად.

ვალიუტის გატანა საზღვარ გარეთ. ამავე სხდომაზე დადგენილ იქნა ნებართვის გაცემა ვალიუტის გატანის შესახებ საზღვარ-გარეთ. ნებართვა მიეცემა, როგორც ორგანიზაციებს, ისე კერძო პირებსაც. ნებართვა ეძლევა მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატს და მის წარმომადგენლებს ცალკე რესპუბლიკებში.

თესვის კომიტეტის ერილობა.

მოხსენებები ადგილობრივი მუშაობის შესახებ დასრულდა. კამათი მოხსენებებს ირგვლივ არ გმართულა. რადგან მსურველი არავინ აღმოჩნდა. იყო შეკითხვები მომხსენებელთა აზრთ, ზოგიერთი საკითხის გარკვევა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მოხსენება სოფლის მეურნეობის მაგნებელ მწვრთა შესახებ, რომელიც გაკეთებული იყო სპეციალისტების მიერ.

ბრძოლა კალიათან. საქართველო ითვლებოდა კალიასგან თავისუფალ ქვეყნად. ოდესაც სიღნაღის მაზრიდან მიწის მოქმედების კომისარიატმა მიიღო დეპეშა კალიის გამოჩენის შესახებ, მან ცალკე ბიუროს შექმნაც კი არ დაინახა საჭიროდ, რადგან არც სჯეროდა, რომ კალია მართლაც წარმოადგენდა დიდ საფრთხეს. ალაზნის რაიონის დათვალიერებით აღმოჩენილ იქნა იტალიური კალია, რომელიც მოდებულია 200 დესიატინის სივრცეზედ.

გარდა ამისა მთელ მიწებზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობა კალიის ერთგვარი ჯიშისა, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ყანას.

მიწის მოქმედების კომისარიატის დავალებით ამხ. სვარიდენკოს მიერ შექმნილ იქმნა კალიასთან საბრძოლველი ორგანიზაცია და გაეგზავნა თელავში. თელავის მაზრაში, გარდა ზოგიერთ რაიონებისა, კალია არ აღმოჩნდა. სიღნაღის მაზრაში კი აღმოჩენილ იქნა კალიის დიდი რაოდენობა. ამხ სვარიდენკოს გამოკვლევით, იტალიური კალია საქართველოში გავრცელებული ყოფილა ფართოდ 1880 წ. და მის გასანადგურებლად საჭირო გამხდარა 21,511 მუშა 5 დღის განმავლობაში. 1891 წ. გორეკახეთში და სხვა რაიონებში და 1899 წ. ტფილისის მაზრაში და უკანასკნელად 1918 წ. იორის ჭალებში.

ყოველთვის, კალიის გავრცელების დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის. წინეთ კალიის წინააღმდეგ მექანიურ მეთოდს ბრძოლა ვიცნობ, რასაც უნდოდა მუშა ხელის დიდი რაოდენობა, წელს კი მიღებულ იქმნა ქიმიური მეთოდი კალიის წინააღმდეგ, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქმნა რეზოლიუცია, რომლითაც კალიის წინააღმდეგ ბრძოლა მიჩნეულ იქმნა განსაკუთრებულ საქმეთ.

მუშათა ნერვილები

სრულიად საქართველოს მგეჭდავ მუშათა ერილობა

15 ივლისს, საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში უნდა შესდგეს სოულიად საქართველოს მბეჭდავ მუშების ყრილობა. უკვე ერთი წელი სოულდება მას შემდეგ, რაც საქართველოს მბეჭდავ მუშებმა ნ. რამიშვილის რეჟიმისაგან თავი იხსნეს და მოიწვიეს პირველი ყრილობა, რომელმაც აირჩია ცენტრალური გამგეობა და მას ჩააბარა თავისი ბედი.

ჩვენ გვახსოვს შარშან ყრილობის დელეგატების არჩევის დროს „დემოხსტრატიულად" დარბაზის დატოვება ჩვენი მენშევიკების და მემარჯვენე ფედერალისტების მიერ. დიახ, გვახსოვს და როდესაც დღეს, ერთი წლის შემდეგ ვითვალისწინებთ ამ „ბოიკოტის" შედეგებს, ჩვენ თვალწინ გადაშლილია მთელი სურათი არევ-დარევისა, მუშათა კლასის პროფესიონალურ მოძრაობის სწორად არ გაგებისა და ბოლოს მუშათა კლასის ღალატისა.

დიახ, ღალატისა, ვინაიდან ვისაც სწამს და შეგნებული აქვს კლასიური ბრძოლა, მას არა აქვს ნება სოციალ-სტური გაგებით „ბოიკოტით" შეხვდეს მუშათა ბანაკს, პროფკავშირებს და ვინც ამას სჩადის ან ჩაიდენს, მას ან არა აქვს შეგნება, ანდა ის შეგნებული მოღალატე ხდება პროლეტარიატისა.

რამდენი საბუთების მოყვანა, რამდენი სტრიქონების დაწერა და რამდენი სიტყვების თქმა არ შეიძლებოდა წარსულში მენშევიკების პროფკავშირების საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ახლა კმარა, ახლა საჭიროა მოკლე ანგარიში გაუწიოთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების დროს არჩეულ მბეჭდავ მუშების მიერ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ერთი წლის საქმიანობას.

რა გააკეთა ცენტრალურმა გამგეობამ ერთი წლის განმავლობაში?

რა თქმა უნდა, ვისაც ამ ერთი წლის განმავლობაში არა თუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კავშირის მუშაობაში და ჭაპან-წყვეტაში, არამედ ერთი წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეუხედნია კავშირის ბინაში, რასაკვირველია, ასეთი ხალხისთვის ძალიან იოლი საქმეა დეფექტებზე მითითება და კრიტიკა, მაგრამ ვინც „ბოიკოტის" ზეგავლენისაგან თავისუფალი იყო, ვინც ვიწრო პარტიული ეგოიზმის თვალთახედვის ისრით არა ზომავდა საქართველოს მუშათა კლასის სასიცოცხლო კლასიურ და ფიზიკურ ინტერესების დაცვას, მათთვის, რასაკვირველია, საიდუმლოებით არ არის მოცული პროფესიონალურ მუშათა მოძრაობის ახლობელი და ახალი ამოცანები და კერძოდ მბეჭდავთა კავშირის ერთი წლის მუშაობის ნაყოფი მუშათა სასარგებლოდ.

მაშ რა უნდა სთქვას ერთი წლის მუშაობის შესახებ იმ ხალხმა, რომელიც არა თუ რამეს აკეთებდა და ხელს უწყობდა მუშათა გამარჯვებას, არამედ პირიქით—ხელს უშლიდა და უშლის ახლაც?—რასაკვირველია არაფერი. და არა თუ მათ ეთქმით რამე, არამედ მათ არცა აქვთ ნება რაიმე სთქვან.

ნორმალურ პირობებში, ჩვენ ბევრის გაკეთება შეგვეძლო მოგვეთხოვა კავშირის გამგეობისაგან, მაგრამ **ბევრის** გაკეთება მოვსთხოვოთ გამგეობას მაშინ, როდესაც ის მუშაობდა ცრუ პატრიოტების „ბოიკოტის" და საბოტაჟების ქვეშ, ყოველად დაუშვებელია.

და მართლაც, აბა გაითვალისწინეთ ამ ერთი წლის წინად ის რთული და არევ-დარევის მომენტები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მძვინვარებდა; დაბრკოლება ყოველ მხრიდან, არავითარი თანაგრძნობა ერთი ნაწილი მენშევიკურად მოაზროვნე მუშებისა არ იყო პროფკავშირისაკენ და მიუხედავად ამისა ენერგიული ამხანაგების მეოხებით საქმის მსვლელობა და მუშაობა არ შეწყვეტილა.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობას და მის პრეზიდიუმს წევრებს გიგანტიური ბრძოლა უხდებოდათ კავშირის 1200 მუშა წევრების პროფესიონალურ და ეკონომიურ ინტერესების დაცვის საქმეში და ამ საქმის შეფასება, როგორც ზევითა ვსთქვით, არავის არ შეუძლიან გარდა იმ მუშა ამხანაგებისა, რომელნიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ პროფკავშირის ცხოვრებაში და მის მუშაობაში.

მუშათა მომარაგება, მუშათა კვება (სასადილოების სახით), სატარიფო და კონფლიქტების საკითხები, ბინების საქმის მოგვარება და უმუშევარ მუშების საქმის გაძღოლა არ იყო იოლი საქმე და გამგეობამ ყოველივე ეს შეძლებისდაგვარად გააკეთა იმდენად, რამდენადაც თანაგრძნობა წევრებისა იყო კავშირის გამგეობისაკენ.

ბევრს ჩვენს ამხანაგებს ჰგონიათ, რომ რაკი კავშირის გამგეობას ამოირჩევენ, ამით ყველაფერი თავდება. ეს შემცდარი აზრია. გამგეობას შეუძლია მუშათა გამარჯვების საქმე უმაღლეს წერტილამდე აიყვანოს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით მუშათა აქტიური მონაწილეობა და თანაგრძნობა იქნება მიმართული კავშირისაკენ.

და ჩვენ ვიმეორებთ, მიუხედავად იმისა, რომ წარსულ წელს ეს ასე არ იყო სავსებით, კავშირს გამგეობამ **შეძლებისდაგვარად** გააკეთა დიდი საქმე, რაშიაც კავშირის წევრები გაეცნობიან გამგეობის მიერ დაბეჭდილ ანგარიშებში.

ძველი გამგეობის ვადა უკვე გავიდა. საჭიროა ახალის ამორჩევა.

ამ მიზნით დღეს, 9 ივლისს, დანიშნულია ტფილისის მბეჭდავ მუშების საერთო კრება დელეგატების ასარჩევად და ჩვენც მოუწოდებთ შეგნებულ ამხანაგებს, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და აირჩიონ ისეთი მუშა-ამხანაგები ყრილობაზე გასაგზავნად, რომელნიც არა თუ მარტო თავისუფალნი არიან ყოველგვარი „ბოიკოტისა" და საბოტაჟებისაგან, არამედ ისეთი მუშებიც, რომელთაც სწამთ მუშათა გაძარჯვება, ესმით პროფმოძრაობის დიდი მიზნები და შესწევთ მუშაობის უნარი და ენერგია ამ დიადი მიზნების განხორციელებისათვის.

სალამი მბეჭდავ მუშათა ყრილობას!

გაუმარჯოს პროფკავშირთა აღორძინებას!

გაუმარჯოს მუშათა ეროვნულ სოლიდარობას!

ასოთ-ამწყობი **დ. მელაშვილი.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

6 ივლისს, ღამის 11 საათზედ უდროოდ გარდაიცვალა ექიმი იასონ ივანეს ძე ბერიშვილის მეუღლე

ლიუბოვ ალექსანდრეს ასული ბერიშვილი,

რასაც უღრმესი ნაწუხარებით მის გულდათუთქული მეუღლე აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს. მიცვალებული გამოსვენებულ იქნება 9 ივლისს დილის 10 საათზედ ბინიდან მიხეილის შესახვევი, სახ. № 8 ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში და მის სასაფლაოზედვე მოხდება გვამის დაკრძალვა.

ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის

გადასახადთა ბიურო

აცხადებს, რომ კვირას 9 ივლის, დღით 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) **მასხი**—სიონის ქ. № 8
2) **ხაერო**—ელისაბედის ქ. 25
3) **პარიზი**—თივის მოედანი, № 5
4) **პეტროგრადი**—პლეხანოვ. ქ. № 6
5) **რივიერა**—დიდი მთავრის ქ. № 1
6) **კომერციული ნომრები**—ირაკლის ქუჩა № 8

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—2

ტირაჟი 700 საქართ. უნივ. ბეჭდ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კოუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. ფ. ს. ფ.